

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება ბი-ეს-ეი ჯორჯიას მფლობელებს და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ შპს ბი-ეს-ეი ჯორჯიას (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშები, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ანგარიშს ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები“) შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებული იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბი-ეს-ეი ჯორჯიას ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს ბი-ეს-ეი ჯორჯიას ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფასს-ს შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად, ინფორმაციის გახსნაზე, როდესაც მისაღებია, ფუნქციონირების უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საქმიანობების განხორციელების უწყვეტობის საფუძველზე ანგარიშგების გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს, ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებზე დაყრდნობით, როგორც ასს-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის საშუალებით, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და გავცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუგდებას.
- შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშებების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.
- დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისას ფუნქციონირების უწყვეტობის საფუძველის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშგებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არადეკვატური, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.
- ფინანსური ანგარიშგების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშგები საფუძვლად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლებობის ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობეთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დააბრკოლოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან, და აგრეთვე ვაცნობეთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა არის მალხაზ უჯმაჯურიძე (სარეგისტრაციო ნომერი saras-a-965206).

შპს იგალ-ის სახელით.

თბილისი, საქართველო

28 მარტი, 2022



შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	70,912
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	473
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	71,385	135,774
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	1,889	2,557
წინასწარ გაწეული ხარჯები	11,274	18,917
მოკლევადიანი მოთხოვნები	6	737,592
გაცემული საგადასახადო ავანსები	8	186,440
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	4,408,818
მთლიანი მიმდინარე აქტივები	5,346,013	3,884,144
სულ აქტივები	5,417,398	4,019,918
ვალდებულება და კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	2,895	3,612
მოკლევადიანი ვალდებულებები	9	769,076
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები	771,971	1,513,694
მთლიანი ვალდებულებები	771,971	1,513,694
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	32,020	20
გაუნაწილებელი მოგება	20,000	493,454
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	4,593,407	2,012,750
მთლიანი კაპიტალი	4,645,427	2,506,224
მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი	5,417,398	4,019,918

ხელმოწერილი პირები



გენერალური დირექტორი: თემურ
ბიბილოძე

16 თებერვალი, 2022
თბილისი, საქართველო

Handwritten signature

ფინანსური მენეჯერი: მანანა შნელაძე

16 თებერვალი, 2022
თბილისი, საქართველო


თანდართული შენიშვნები 8-30 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“

მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	34,754,153	25,332,875
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(26,838,129)	(20,707,454)
საერთო მოგება		7,916,024	4,625,421
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	12	(2,626,408)	(2,326,639)
ცვეთის ხარჯი	5	(66,982)	(71,227)
რისკიანი მოთხოვნების ხარჯები		(59,940)	(93,228)
მთლიანი საოპერაციო მოგება		5,162,694	2,134,327
კურსთა შორის სხვაობა		(151,202)	292,659
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		34,542	25,599
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		150	10,751
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		5,046,184	2,463,336
მოგების გადასახადი		(452,777)	(450,586)
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		4,593,407	2,012,750

ხელმოწერი პირები


გენერალური დირექტორი: თემურ
ბიბილოძე


ფინანსური მენეჯერი: მანანა შნელაძე

16 თებერვალი, 2022

თბილისი, საქართველო



16 თებერვალი, 2022

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-30 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	სულ
31 დეკემბერი, 2019	20	17,555	3,068,399	3,085,974
გაუნაწილებელი მოგება	-	3,068,399	(3,068,399)	3,068,399
გაცემული დივიდენდი	-	(2,592,500)	-	(2,592,500)
მოგება წლის განმავლობაში	-	-	2,012,750	2,012,750
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2020	20	493,454	2,012,750	2,506,224
გაუნაწილებელი მოგება	-	2,012,750	(2,012,750)	2,012,750
გაცემული დივიდენდი	-	(2,486,204)	-	(2,486,204)
მოგება წლის განმავლობაში	-	-	4,593,407	4,593,407
საწესდებო კაპიტალი	32,000	-	-	-
31 დეკემბერი, 2021	32,020	20,000	4,593,407	4,645,427

ხელმოწერილი პირები

გენერალური დირექტორი: თემურ
ბიბილოძე

16 თებერვალი, 2022
თბილისი, საქართველო



ფინანსური მენეჯერი: მანანა ძნელაძე

16 თებერვალი, 2022
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-30 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.


შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	28,134,066	20,468,232
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(21,170,719)	(15,261,912)
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასები და სხვა თანხები	(1,758,191)	(1,587,789)
გადახდილი გადასახადები	(1,131,916)	(988,557)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	4,073,240	2,629,975
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,593)	(20,517)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,593)	(20,517)
კურსთაშორის სხვაობის შედეგი	(241,016)	377,432
საპროცენტო შემოსავალი	34,542	25,599
კაპიტალის შევსება	32,000	-
გაცემული დივიდენდი	(2,361,894)	(2,462,875)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(2,536,368)	(2,059,844)
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	1,534,279	549,613
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2,874,539	2,324,926
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4,408,818	2,874,539

ხელმოწერა პირები



გენერალური დირექტორი: თემურ
ბიბილოძე



ფინანსური მენეჯერი: მანანა ძნელაძე

16 თებერვალი, 2022
თბილისი, საქართველო



16 თებერვალი, 2022
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-30 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბი-ეს-ეი
ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი
(ნათარგმნია ორიგინალი ინგლისურიდან)

შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	8-30
1. შესავალი	8
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	8
3. ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	19
4. სააღრიცხვო კრიტიკული შეფასებები და შეფასების უტყუარობის ძირითადი წყაროები	19
5. ძირითადი საშუალებები	21
6. მოთხოვნები მომსახურებიდან	21
7. ფული და ფულის ექვივალენტები	22
8. გაცემული საგადასახადო ავანსები	22
9. მოკლევადიანი ვალდებულებები	23
10. შემოსავალი მომსახურებიდან	23
11. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	23
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24
13. მოგების გადასახადი:	24
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
15. კონტინგენტები	29
16. მნიშვნელოვანი მოვლენები საანგარიშო თარიღის შემდგომ	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება ბი-ეს-ეი ჯორჯიას მფლობელებს და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ შპს ბი-ეს-ეი ჯორჯიას (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშები, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ანგარიშს ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები“) შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებული იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბი-ეს-ეი ჯორჯიას ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს ბი-ეს-ეი ჯორჯიას ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფასს-ს შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად, ინფორმაციის გახსნაზე, როდესაც მისაღებია, ფუნქციონირების უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საქმიანობების განხორციელების უწყვეტობის საფუძველზე ანგარიშგების გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს, ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებზე დაყრდნობით, როგორც ასს-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის საშუალებით, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და გავცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუგდებას.
- შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშებების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.
- დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისას ფუნქციონირების უწყვეტობის საფუძველის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშგებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არადეკვატური, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.
- ფინანსური ანგარიშგების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშგები საფუძველად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლებობის ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობეთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დააბრკოლოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან, და აგრეთვე ვაცნობეთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა არის მალხაზ უჯმაჯურიძე (სარეგისტრაციო ნომერი saras-a-965206).

შპს იგალ-ის სახელით.

თბილისი, საქართველო

28 მარტი, 2022

შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	70,912	135,115
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	473	659
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		71,385	135,774
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		1,889	2,557
წინასწარ გაწეული ხარჯები		11,274	18,917
მოკლევადიანი მოთხოვნები	6	737,592	702,352
გაცემული საგადასახადო ავანსები	8	186,440	285,779
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	4,408,818	2,874,539
მთლიანი მიმდინარე აქტივები		5,346,013	3,884,144
სულ აქტივები		5,417,398	4,019,918
ვალდებულება და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		2,895	3,612
მოკლევადიანი ვალდებულებები	9	769,076	1,510,082
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		771,971	1,513,694
მთლიანი ვალდებულებები		771,971	1,513,694
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		32,020	20
გაუნაწილებელი მოგება		20,000	493,454
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		4,593,407	2,012,750
მთლიანი კაპიტალი		4,645,427	2,506,224
მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი		5,417,398	4,019,918

ხელმოწერილი პირები

გენერალური დირექტორი: თემურ
ბიბილოძე

ფინანსური მენეჯერი: მანანა ძნელაძე

16 თებერვალი, 2022
თბილისი, საქართველო

16 თებერვალი, 2022
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-30 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“

მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	34,754,153	25,332,875
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(26,838,129)	(20,707,454)
საერთო მოგება		7,916,024	4,625,421
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	12	(2,626,408)	(2,326,639)
ცვეთის ხარჯი	5	(66,982)	(71,227)
რისკიანი მოთხოვნების ხარჯები		(59,940)	(93,228)
მთლიანი საოპერაციო მოგება		5,162,694	2,134,327
კურსთა შორის სხვაობა		(151,202)	292,659
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		34,542	25,599
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		150	10,751
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		5,046,184	2,463,336
მოგების გადასახადი		(452,777)	(450,586)
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		4,593,407	2,012,750

ხელმოწერი პირები

გენერალური დირექტორი: თემურ
ბიბილოძე

ფინანსური მენეჯერი: მანანა ძნელაძე

16 თებერვალი, 2022
თბილისი, საქართველო

16 თებერვალი, 2022
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-30 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	სულ
31 დეკემბერი, 2019	20	17,555	3,068,399	3,085,974
გაუნაწილებელი მოგება	-	3,068,399	(3,068,399)	3,068,399
გაცემული დივიდენდი	-	(2,592,500)	-	(2,592,500)
მოგება წლის განმავლობაში	-	-	2,012,750	2,012,750
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2020	20	493,454	2,012,750	2,506,224
გაუნაწილებელი მოგება	-	2,012,750	(2,012,750)	2,012,750
გაცემული დივიდენდი	-	(2,486,204)	-	(2,486,204)
მოგება წლის განმავლობაში	-	-	4,593,407	4,593,407
საწესდებო კაპიტალი	32,000	-	-	-
31 დეკემბერი, 2021	32,020	20,000	4,593,407	4,645,427

ხელმოწერი პირები

გენერალური დირექტორი: თემურ ბიბილოძე	ფინანსური მენეჯერი: მანანა ძნელაძე
16 თებერვალი, 2022 თბილისი, საქართველო	16 თებერვალი, 2022 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-30 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	28,134,066	20,468,232
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(21,170,719)	(15,261,912)
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასები და სხვა თანხები	(1,758,191)	(1,587,789)
გადახდილი გადასახადები	(1,131,916)	(988,557)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	4,073,240	2,629,975
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,593)	(20,517)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,593)	(20,517)
ფინანსური საქმიანობები		
კურსთაშორის სხვაობის შედეგი	(241,016)	377,432
საპროცენტო შემოსავალი	34,542	25,599
კაპიტალის შევსება	32,000	-
გაცემული დივიდენდი	(2,361,894)	(2,462,875)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(2,536,368)	(2,059,844)
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	1,534,279	549,613
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2,874,539	2,324,926
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4,408,818	2,874,539

ხელმოწერილი პირები

გენერალური დირექტორი: თემურ
 ბიბილოძე

ფინანსური მენეჯერი: მანანა ძნელაძე

16 თებერვალი, 2022
 თბილისი, საქართველო

16 თებერვალი, 2022
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-30 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

1. შესავალი

კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“ (კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სამართალსუბიექტის სახით რეგისტრირებული და ოფიციალური ადგილსამყოფელით საქართველოში 2011 წლიდან. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს საქართველოში, ფოთში, კორპუსი N:34, 9 აპრილის გამზირი N:27.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მომსახურების გაწევა საზღვაო და სახმელეთო გზით საერთაშორისო ტრანსპორტირებისთვის საქართველოში.

კომპანიის მფლობელია სს „ბოსფორის ნავიგაციის სააგენტო“ (ინგლისურად - JSC Bosphorus Navigation Agency) („მშობელი კომპანია“) 5 მეწილით, ჯამში 100% წილი. **ზანდონათი დენიზ ასენტელიგი ა.ს** ფლობს 37.493% -ს მთლიანი წილიდან; **სუან სრლ** ფლობს 37.493%; **ალდო გიდო ენრიკო როსსი** ფლობს 0.0062%; **იაჟ ჰანნა** ფლობს 0.0062%; **ლუბიდერია დენიზილიკ ა.ს** ფლობს 0.25%.

საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოს აქვს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირად იცვლება.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ზომებზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ საკითხებთან ერთად.

მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა რა პოტენციური გავლენა შეიძლება იქონიოს COVID 19-მა კომპანიის საქმიანობაზე. გამომდინარე არსებული სტატისტიკით რაც გააჩნია მსოფლიოს და საქართველოს მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკურ დარგებზე შესაძლო გავლენის გათვალისწინებით და იმ მოცემულობის ფონზე, როდესაც საერთაშორისო ტრანსპორტირება არსებულ პირობებშიც ხორციელდება, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ შემდეგი ერთი წლის განმავლობაში აღნიშნულს არ ექნება კომპანიის საქმიანობაზე მატერიალურად ნეგატიური გავლენა. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ისიც რომ კომპანიის საქმიანობის პორტფელი არის დივერსიფიცირებული და უმთავრესად ორიენტირებულია ისეთი ტიპის პროდუქციის ტრანსპორტირებაზე, რაც წარმოადგენს არსებულ პირობებშიც კი აუცილებელი მოხმარების პროდუქციას და შესაბამისად არ არის მოსალოდნელი აღნიშნულთან მიმართებაში მოთხოვნის შემცირება ან აკრძალვების შემოღება სახელმწიფოს მხრიდან.

აქვე აღსანიშნავია რომ კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის წინასწარ განჭვრეტა, მათ შორის COVID 19-მა რა გავლენა შესაძლოა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, და შესაბამისად, არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, ეფექტი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობის და განვითარების მხარდასაჭერად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) და საქართველოს კანონთან „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა

დ აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ. ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება აგრეთვე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, ასახულია შენიშვნაში 4.

უწყვეტობის პრინციპი

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ხელმძღვანელობამ გაანალიზა ახლანდელი მაკროეკონომიკური გარემო საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის, ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”).

ქვემოთ მოცემულია გაცვლითი კურსები წლის დასასრულისთვის, რომლებიც გამოიყენა სამართალსუბიექტმა წინამდებარე ფინანსური აღრიცხვის მიზნებისთვის:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი (USD)/ლარი (GEL)	3.0976	3.2766
1 ევრო (EUR)/ ლარი (GEL)	3.5040	4.0233
1 აზერბაიჯანული მანათი (AZN)/ ლარი (GEL)	1.8222	1.9288

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული აკუმულირებული ცვეთით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროების შემთხვევაში. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან ცალკე აქტივად აღიარდება, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწვევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანუღირდება როდესაც შესაფერისია, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში

შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცვეთა. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ცვეთადი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

მექანიზმები და აღჭურვილობა	5%-10%
საოფისე აღჭურვილობა	5%-20%
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5%
სატრანსპორტო საშუალებები	5%-10%

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გასვლიდან, შემცირებული შეფასებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები კომპანიის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნიათ და ძირითადად წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით და ლიცენზიებით.

შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შემენის და გამოყენების დასაწყებად გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

განვითარებაზე გაწეული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რასაც აკონტროლებს კომპანია, აღირიცხება არამატერიალური აქტივების სახით, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება, რაც აჭარბებს დანახარჯებს. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯებს და ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს. ამ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯები, მაგ. მისი მოვლა-შენახვის ხარჯები, გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფის და ლიცენზიების სასარგებლო მომსახურების ვადები 3 წლიდან 10 წლამდე დიაპაზონშია.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას, მინუს გასვლის დანახარჯების შორის უდიდეს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივებს, რომლებსაც განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნიათ და მზადაა გამოსაყენებლად, არ ერიცხებათ ამორტიზაცია და ყოველწლიურად ხდება მათი გაუფასურებაზე ტესტირება. აქტივების, რომლებსაც ერიცხებათ ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებას განიხილავენ, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ამოღებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ყველაზე დაბალ დონეზე. არაფინანსური აქტივების (გუდვილის გარდა) ადრინდელი გაუფასურებები ყოველი საანგარიშგებო თარიღით განიხილება შესაძლო აღდგენის თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება არის ფასი რომელსაც მვიღებთ აქტივის გაყიდვიდან ან გადავიხდით ვალდებულების გადაცემისას

ნებაყოფილობით ოპერაციაში, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება აქტიური ბარის ფასებია. აქტიური არის ბაზარი სადაც, ვალდებულებების და აქტივების გადაცემის ტრანზაქციები საკმარისი სიხშირით და რაოდენობით ხდება იმისათვის რომ უზრუნველყოს ფასების შესახებ უწყვეტი ინფორმაცია.

აქტიურ ბაზარზე გაყიდული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის ფინანსური ინსტრუმენტის რაოდენობაზე ნამრავლით. ეს მიდგომა გამოიყენება მაშინაც კი როცა დღიურად გაყიდული ინსტრუმენტების რაოდენობა ნაკლებია იმ ინსტრუმენტების რაოდენობაზე, რასაც ფლობს კომპანია ან გაყიდვამ შესაძლებელია დიდი გავლენა მოახდინოს გასაყიდ ფასზე.³ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი რესურსი).

ტრანზაქციების დანახარჯები არის ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში შემცირებული ჩამოწერილი გაუფასურების ზარალით. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის თანხაზე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც

ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. აქტივებისთვის რომლების გაუფასურებულია შესყიდვისას ან საწყისი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება საკრედიტო რისკით. მაგალითად, საწყისი აღიარებისას ის გამოითვლება მოსალოდნელ ფულად სახსრებზე დაყრდნობით და არა ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული გადახდებით.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება . ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, კორექტირებული ტრანზაქციების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციების ფასი. საწყისი აღიარებაზე მოგება ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და ტრანზაქციების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), რაც გამოიწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით (FVTPL, FVOCI and AC).

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს - მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი”), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი”) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება, იმ ოპერაციების მიხედვით, რასაც კომპანია ახორციელებს პორტფელის არსებობის მიზნის მისაღწევად, შეფასების მომენტში. ფაქტორებს რომელსაც კომპანია ითვალისწინებს ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის მოიცავს: პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, ამ აქტივებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდის წარსულ გამოცდილებას, რისკების შეფასებას და მენეჯმენტს, როგორ ფასდება აქტივების პერფორმანსი და როგორ უხდია კომპენსაციას მენეჯმენტს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”). როდესაც კონტრაქტის პირობები გულისხმობს რისკს და არასტაბილურობას, რომელიც არ არის დამოკიდებული ძირითადი სესხის ხელშეკრულებაზე, ფინანსური აქტივი

კლასიფიცირდება და შეფასდება რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით. “SPPI” შეფასება მოხდება საწყისი აღიარებისას და მოგვიანებით აღარ შეიცვლება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევების გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

კომპანია იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მდგომარეობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომელიც იყენებს სრული მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდება გადანაწილებული რისკის მახასიათებლების მიხედვით (დებიტორული დავალიანებები შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, საგირავნო უზრუნველყოფის და სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით).

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გადახდების პროფილებს ან ბოლო 360 დღის გაყიდვებს და ამ პერიოდისთვის გამოცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები მორგებულია იმაზე, რომ ასახოს მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაცია მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლის უნარზე, დაარეგულირონ დებიტორული დავალიანებები. კომპანია აანალიზებს იმ ქვეყნების მაკრო ფაქტორებს რომლებშიც ყიდის პროდუქციას და მომსახურებას. რადგანაც დებიტორული დავალიანებები ძირითადად ადგილობრივი მომხმარებლებისგანაა, კომპანიამ ანალიზი გაუკეთა საქართველოს მაკროეკონომიკურ სცენარებს და შესაბამის შეწონილობებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კომპანიის მოვალეობის ისტორიული ქცევაზე დაყრდნობით, კომპანიამ დაადგინა, რომ მშპ და სავალუტო გაცვლითი კურსები ყველაზე რელევანტური ფაქტორია, რომელსაც გავლენა აქვს დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე და შესაბამისად მორგებულია ისტორიული ზარალის განაკვეთზე, რაც ეფუძნება მოსალოდნელ ცვლილებებს ამ ფაქტორში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ ასებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და სარგებელი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არა დაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია მოიცავს დერივატივებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემდგომში მიერ არის არიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა . ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა . ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

